

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა	12
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. ძირითადი საშუალებები	26
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
7. ფიქსირებული ანაზარი	27
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
9. საიჯარო ვალდებულება	28
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
11. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	29
12. ამონაგები	29
13. თანამშრომელთა სარგებელი	29
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	30
15. ფინანსური შემოსავლები	30
16. ფინანსური ხარჯები	30
17. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	31
18. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31
19. ფინანსური რისკების მართვა	31
20. კაპიტალის რისკის მართვა	35
21. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	36
22. პირობითი ვალდებულებები	36
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	38
მმართველობითი ანგარიშგება - 2023	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ის მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ქვემოთ მოცემული პირობითი მოსაზრების საფუძველი უკავშირდება მხოლოდ 2022 წლის პერიოდის მონაცემებს:

2022 წლის პერიოდის ამონაგები წარმოდგენილია 21,274,749 ლარით. აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ 1,945,438 ლარის ამონაგების შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია და შესაბამისად აუდიტის მტკიცებულებები აღნიშნული შემოსავლის აღიარების სისწორესთან და წარმოშობასთან დაკავშირებით. ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება. შედეგად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღრიცხულ ან აღურიცხავ ამონაგებთან, ასევე თანდართული ფინანსური ანგარიშგების სხვა შესაბამის ელემენტებთან და ნაშთებთან მიმართებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის შემოსავლის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ერთ მომხმარებელთან. ასევე ფინანსური ანგარიშგების 2-ე და 12-ე შენიშვნებში აღწერილია ინფორმაცია კომპანიის შემოსავლის (მათ შორის მნიშვნელოვან) შემცირებასთან დაკავშირებით. ეს მოვლენები ან პირობები არსებითი განუზღვრელობის არსებობაზე მიანიშნებენ, რაც მნიშვნელოვან ექვს ბაღებს სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხედენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა

როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით, ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო 29

08 აგვისტო 2024 წელი

როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით, ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო 29

08 აგვისტო 2024 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	167,202	249,093
არამატერიალური აქტივები		6,308	7,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		173,510	256,102
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,468,309	2,991,059
ფიქსირებული ანაზარი	7	2,689,400	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	3,360,021	5,874,489
სულ მიმდინარე აქტივები		9,517,730	8,865,548
სულ აქტივები		9,691,240	9,121,650
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,248	17,248
გაუნაწილებელი მოგება		8,475,614	6,991,709
სულ კაპიტალი		8,492,862	7,008,957
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	-	80,742
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	80,742
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	80,365	75,277
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,004,921	1,563,516
საგადასახადო ვალდებულებები	11	113,092	393,158
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,198,378	2,031,951
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		9,691,240	9,121,650

მაქსიმ დრაშჩინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი

გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი


შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	167,202	249,093
არამატერიალური აქტივები		6,308	7,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		173,510	256,102
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,468,309	2,991,059
ფიქსირებული ანბარი	7	2,689,400	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	3,360,021	5,874,489
სულ მიმდინარე აქტივები		9,517,730	8,865,548
სულ აქტივები		9,691,240	9,121,650
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,248	17,248
გაუნაწილებელი მოგება		8,475,614	6,991,709
სულ კაპიტალი		8,492,862	7,008,957
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	-	80,742
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	80,742
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	80,365	75,277
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,004,921	1,563,516
საგადასახადო ვალდებულებები	11	113,092	393,158
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,198,378	2,031,951
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		9,691,240	9,121,650



მაქსიმ დრაშინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი



გიორგი მაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	19,531,122	21,274,749
მთლიანი შემოსავალი		19,531,122	21,274,749
თანამშრომელთა სარგებელი	13	(17,211,340)	(13,341,365)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(845,944)	(591,036)
საოპერაციო მოგება		1,473,838	7,342,348
ფინანსური შემოსავლები	15	26,890	-
ფინანსური ხარჯები	16	(8,340)	(8,473)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	17	(8,483)	(342,166)
მოგება დაბეგვრამდე		1,483,905	6,991,709
მოგების გადასახადი		-	-
წლის/პერიოდის მოგება		1,483,905	6,991,709
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის/პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,483,905	6,991,709

მაქსიმ დრამჩინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი

გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

შპს „სოფთევა ქანთრი ჯორჯია“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	19,531,122	21,274,749
მთლიანი შემოსავალი		19,531,122	21,274,749
თანამშრომელთა სარგებელი	13	(17,211,340)	(13,341,365)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(845,944)	(591,036)
საოპერაციო მოგება		1,473,838	7,342,348
ფინანსური შემოსავლები	15	26,890	-
ფინანსური ხარჯები	16	(8,340)	(8,473)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	17	(8,483)	(342,166)
მოგება დაბეგვრამდე		1,483,905	6,991,709
მოგების გადასახადი		-	-
წლის/პერიოდის მოგება		1,483,905	6,991,709
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის/პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,483,905	6,991,709



მაქსიმ დრაშჩინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი



გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	-
პერიოდის მოგება	-	6,991,709	6,991,709
კაპიტალის ცვლილება	17,248	-	17,248
ოპერაციები მესაკუთრებთან	17,248	-	17,248
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	17,248	6,991,709	7,008,957
წლის მოგება	-	1,483,905	1,483,905
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,483,905	1,483,905
ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	17,248	8,475,614	8,492,862

მაქსიმ დრაშინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი

გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი


შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	-
პერიოდის მოგება	-	6,991,709	6,991,709
კაპიტალის ცვლილება	17,248	-	17,248
ოპერაციები მესაკუთრებთან	17,248	-	17,248
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	17,248	6,991,709	7,008,957
წლის მოგება	-	1,483,905	1,483,905
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,483,905	1,483,905
ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	17,248	8,475,614	8,492,862



მაქსიმ დრაშინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი



გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,483,905	6,991,709
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	96,355	59,741
ფინანსური ხარჯები	8,340	8,473
ფინანსური შემოსავლები	(26,890)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	8,483	342,166
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,570,193	7,402,089
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(572,097)	(3,144,370)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(527,134)	1,568,413
ფიქსირებული ანაზარი	(2,689,400)	-
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(280,065)	393,159
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,498,503)	6,219,291
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(13,763)	(92,591)
გრძელვადიან იჯარაზე ავანსად გადახდილი თანხა	-	(23,860)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(7,009)
ფინანსური შემოსავლის მიღება	26,890	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	13,127	(123,460)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდა	-	17,248
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი	(8,340)	(3,033)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა	(73,360)	(18,488)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(81,700)	(4,273)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(2,567,076)	6,091,558
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	5,874,489	-
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	52,608	(217,069)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	3,360,021	5,874,489

მაქსიმ დრამჩინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი

გიორგი ჩაგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	1,483,905	6,991,709
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	96,355	59,741
ფინანსური ხარჯები	8,340	8,473
ფინანსური შემოსავლები	(26,890)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8,483	342,166
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	1,570,193	7,402,089
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(572,097)	(3,144,370)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(527,134)	1,568,413
ფიქსირებული ანაბარი	(2,689,400)	-
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(280,065)	393,159
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,498,503)	6,219,291
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(13,763)	(92,591)
გრძელვადიან იჯარაზე ავანსად გადახდილი თანხა	-	(23,860)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(7,009)
ფინანსური შემოსავლის მიღება	26,890	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	13,127	(123,460)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდა	-	17,248
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი	(8,340)	(3,033)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა	(73,360)	(18,488)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(81,700)	(4,273)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(2,567,076)	6,091,558
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	5,874,489	-
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	52,608	(217,069)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	3,360,021	5,874,489



მაქსიმ დრაჟინსკი
დირექტორი
08.08.2024
თბილისი



გიორგი ჩიგუნავა
მთ. ბუღალტერი
08.08.2024
თბილისი

1. კომპანიის აღწერა

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2022 წლის 11 მარტს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 71, საოფისე ფართი N5, სართული 2, ბლოკი II.

საიდენტიფიკაციო კოდია: 405512583.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის დირექტორია მაქსიმ დრაშინსკი, 75 7784799 (რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის მაქსიმ დრაშინსკი, 75 7784799 (რუსეთის ფედერაცია).

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ს საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, გატესტვა, მომსახურება და გაუმჯობესება (ვებ-გვერდების, აპლიკაციების და სხვადასხვა ციფრული პროდუქტების შექმნა და დამუშავება).

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ მოთხოვნის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

აღსანიშნავია რომ, 2023 წელს კომპანიის შემოსავლები დამოკიდებულია ძირითადად ერთ მომხმარებელზე, კერძოდ ARCADIA GLOBAL SOLUTIONS INC, რომლისგანაც 2023 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 14,673,806 ლარი, რაც წარმოადგებს მთლიანი შემოსავლების 75.0 %-ს. აღნიშნულ კომპანიას უჭირავს შუალედური როლი პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებსა და კომპანიას შორის.

ამასთანავე 2023 წელს კომპანია პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაციას (ზემოაღნიშნულის ჩათვლით) ახდენდა დაკავშირებულ საწარმოებზე ARCADIA GLOBAL SOLUTIONS INC, ARCADIA INC COMPANY LIMITED და SOFTWARE COUNTRY Ltd. - Branch in Slovenia, მათთვის გაწეული მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 16,476,160 ლარი, რაც მთლიანი შემოსავლების 84,2 %-ს წარმოადგებს. ამ კომპანიებს ასევე შუალედური როლი უჭირავთ პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებსა და კომპანიას შორის. 2024 წლის იანვარი-ივლისის პერიოდის მიხედვით კომპანიის რეალიზაცია შემცირებულია დაახლოებით სამჯერ ანალოგიურ 2023 წლის იანვარ-ივლისის პერიოდთან შედარებით. ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული რისკი და მიაჩნია, რომ ძირითად კლიენტებთან თანამშრომლობის შეწყვეტა არ წარმოადგენს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხეს, რადგან კომპანიას დასაქმებული ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ყავს პირდაპირი კლიენტები (შუალედური რგოლის გარეშე), შეუძლია იზრუნოს თავისი პორტფელის ამ ნაწილის გაზრდაზე და მოიზიდოს ახალი დამკვეთები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მომგებიანობა, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა და მიმდინარე გეგმები.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელსაც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9753
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.4228
საშუალო წლიური კურსი	2023
1 დოლარი/ლარი	2.6279
1 ევრო/ლარი	2.8416

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.2671
	31 დეკემბერი 2022
1 დოლარი/ლარი	2.7020
1 ევრო/ლარი	2.8844
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.2581
საშუალო წლიური კურსი	2022
1 დოლარი/ლარი	2.9156
1 ევრო/ლარი	3.0792
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.6181

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	2 - 5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 – 10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღიარებულია თვითღირებულებით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს ძირითადი საშუალებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული დრო, რათა ეს გრძელვადიანი აქტივები მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. სანამ სამშენებლო პროცესი არ მივა ასეთ მდგომარეობამდე, კომპანია მას აღრიცხავს როგორც დაუმთავრებელ მშენებლობას და შემდეგ გადააქვს ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფზე.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად:

- სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით.
- ამორტიზირებული ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ან და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

წილობრივი ინსტრუმენტების კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი:

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სისცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, შემცირებული სავარაუდო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან. კომპანიას აქვს სესხები მისი მფლობელისგან ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე.

აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის და სხვადასხვა ციფრული პროდუქტების შექმნას, გატესტვას, მომსახურებას და გაუმჯობესებას.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ა) აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ კომპანიას არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ბ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შეიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ღირებულებას, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ჯგუფი მას გამოიყენებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის უფლების გამოყენებას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო

განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში. კომპანიამ გამოიყენა ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 14.0%.

გ) მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

დ) განახლების პირობის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა

კომპანია იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის გამოყენების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება.

ე) საიჯარო გადასახადები

ზოგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ფიქსირებული გადახდების გარდა, ხელშეკრულებით ცვალებადი გადახდებიც არის გათვალისწინებული. ფასს 16-ის მიხედვით, საიჯარო გადასახადები არ უნდა შეიცავდეს რამე ცვალებად გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. მაგალითად, თუ ცვალებადი იჯარა დამოკიდებულია საქმიანობის შედეგებზე, იგი არ უნდა შევიდეს საიჯარო გადასახადებში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე,

თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. კომპანია საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის და ითვალისწინებს წარსულ გამოცდილებასა და საპროგნოზო ინფორმაციას. გამომდინარე იქიდან რომ კომპანია საანგარიშგებო პერიოდში დაფუძნდა, კომპანიამ გაითვალისწინა ვადაგადაცილების დღეები და კონტრაგენტების გადახდისუნარიანობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშგების დროს.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნაშთები და მოძრაობა 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართის გამოყენების უფლება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 01.01.2022-ის მდგომარეობით	-	-	-	-	-
დამატება	216,243	50,503	34,111	7,977	308,834
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	216,243	50,503	34,111	7,977	308,834
დამატება	-	10,597	3,167	-	13,764
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	216,243	61,100	37,278	7,977	322,598
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 01.01.2022-ის მდგომარეობით	-	-	-	-	-
წლის ცვეთა	54,061	3,234	2,247	199	59,741
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	54,061	3,234	2,247	199	59,741
წლის ცვეთა	72,081	13,035	9,741	798	95,655
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	126,142	16,269	11,988	997	155,396
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	162,182	47,269	31,864	7,778	249,093
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	90,101	44,831	25,290	6,980	167,202

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,438,226	2,976,543
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	30,083	14,516
სულ	3,468,309	2,991,059

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ ყველა მოთხოვნა სრულად დაბრუნებადი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

7. ფიქსირებული ანაზარი

კომპანიის ფიქსირებული ანაზარი შედგება:

	31.12.2023	31.12.2022
ფიქსირებული ანაზარი (1 წელი) ბანკში	2,689,400	-
სულ	2,689,400	-

ვადიანი ანაზარი არის საქართველოს ბანკში 29/12/2023-დან 30/12/2024-მდე 1,000,000 USD ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3,5 პროცენტს.

ფიქსირებული ანაზარი ვალუტის მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს:

	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	49,761	4,629
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,310,260	5,869,860
სულ	3,360,021	5,874,489

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

9. საიჯარო ვალდებულება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კომპანიის საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე	80,365	75,277
გრძელვადიანი	-	80,742
	80,365	156,019

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მინიმალური საიჯარო გადასახდელები	
	31.12.2023	31.12.2022
ერთ წელიწადში		
საიჯარო გადასახადები	83,457	83,849
ფინანსური გადასახადი	(3,092)	(8,572)
	80,365	75,277
მეორედან მეხუთე წლების ჩათვლით		
საიჯარო გადასახადები	-	83,847
ფინანსური გადასახადი	-	(3,105)
	-	80,742
წმინდა დღევანდელი ღირებულება	80,365	156,019

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

საიჯარო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	291,923	13,031
გადასახდელი ხელფასები	712,998	1,550,485
სულ	1,004,921	1,563,516

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

11. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივი ან ვალდებულებისგან.

12. ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის და სხვადასხვა ციფრული პროდუქტების შექმნას, გატესტვას, მომსახურებას და გაუმჯობესებას.

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	19,531,122	21,274,749
სულ	19,531,122	21,274,749

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

13. თანამშრომელთა სარგებელი

კომპანიის თანამშრომელთა სარგებელი შეადგენს:

	2023	2022
თანამშრომელთა სარგებელი	17,211,340	13,341,365
სულ	17,211,340	13,341,365

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2023	2022
პროფესიული მომსახურება	346,187	7,302
კონვერტაციიდან მიღებული ზარალი	193,250	246,191
ცვეთა და ამორტიზაცია	96,355	59,741
დაზღვევის ხარჯი	74,356	44,334
მივლინების ხარჯი	29,148	59,042
საკონსულტაციო ხარჯები	23,339	44,247
სხვა საგადასახადო ხარჯი	15,715	443
ოფისის ხარჯები	12,616	6,328
საიჯარო ქირა	11,941	13,142
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,742	96,456
კომუნიკაციის ხარჯი	6,731	3,028
სხვა	25,564	10,782
სულ	845,944	591,036

15. ფინანსური შემოსავლები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები შეადგენს:

	2023	2022
ფინანსური შემოსავლები	26,890	-
სულ	26,890	-

კომპანიას მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე აქვს განთავსებული თანხები, რასაც ერიცხება სარგებელი, ლარის ანგარიშზე სარგებელი შეადგენს 7%-ს, დოლარის ანგარიშებზე მერყეობს 0%-დან 1,9%-მდე, ხოლო ვადიან ანაბარზე შეადგენს 3,5%-ს.

16. ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები შეადგენს:

	2023	2022
ფინანსური ხარჯები	8,340	8,473
სულ	8,340	8,473

კომპანიის ფინანსური ხარჯები წარმოადგენს საოფისე ფართის IFRS 16-ის მიხედვით იჯარად განხილვის შედეგად დარიცხულ პროცენტს. ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6,67%-ს.

17. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი:

	2023	2022
ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(52,610)	217,069
ეფექტი მოთხოვნებზე	94,848	153,310
ეფექტი ვალდებულებებზე	(31,462)	(4,897)
ეფექტი ფინანსური იჯარის ვალდებულებაზე	(2,293)	(23,316)
სულ	8,483	342,166

18. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,438,226	2,976,543
ფიქსირებული ანაზარი	2,689,400	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	3,360,021	5,874,489
სულ	9,487,647	8,851,032

ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ამორტიზირებული ღირებულება		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	80,365	156,018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,004,921	1,563,516
სულ	1,085,286	1,719,534

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ტრანზაქციების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. შემოსავალი მიღებული არის ვალუტაში, აგრეთვე თანამშრომელთა სარგებელის და სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილი არის განხორციელებული უცხოურ ვალუტაში.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

2023 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,201,854	207,667	17,977
ფიქსირებული ანაბარი	2,689,400	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	2,610,696	705,365	124
	8,501,950	913,032	18,101
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	80,365		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	997,658	-	-
	1,078,023	-	-
წმინდა პოზიცია	7,423,927	913,032	18,101
2022 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,229,496	747,048	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	4,233,115	1,636,746	-
	6,462,611	2,383,794	-
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	156,018	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,563,516	-	-
	1,719,534	-	-
წმინდა პოზიცია	4,743,077	2,383,794	-

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის დოლარის, ევროს და გირვანქა სტერლინგის მიმართ ლარის 10%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე ქართულ ლარში. აღნიშნული 10% არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის, ევროს

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

და გირვანქა სტერლინგის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა, ევროსა და გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში 10%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		გირვანქა სტერლინგის გავლენა	
	2023	2022	2023	2022	2023	2022
მოგება-ზარალი:						
ლარის გამყარება	(742,393)	(474,308)	(91,303)	(238,379)	(1,810)	0
ლარის დევალვაცია	742,393	474,308	91,303	238,379	1,810	0

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

31 დეკემბერი 2023

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)	-	6.7%	
1 წლამდე	1,004,921	80,365	1,085,286
სულ	1,004,921	80,365	1,085,286

31 დეკემბერი 2022

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)	-	6.7%	
1 წლამდე	1,563,516	75,277	1,638,793
1-5 წლამდე	-	80,742	80,742
სულ	1,563,516	156,019	1,719,535

ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, აგრეთვე თანამშრომელთა სარგებელს, რომელთა დაფარვის ვადა ძირითადად შეადგენს 1 თვეს. კომპანიას აქვს საკმარისი ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსთვის, რათა მიმდინარე ვალდებულებები დაიფაროს ანგარიშგების დასრულების პერიოდიდან ერთ თვეში. კომპანიის მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებს.

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების შესაფასებლად და სამართავად.

20. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებელი უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის დამფუძნებელს და გაუნაწილებელი მოგებისგან.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
მთლიანი კაპიტალი	8,492,862	7,008,957
მინუს: ფული ბანკში	(3,360,021)	(5,874,489)
კაპიტალი	5,132,841	1,134,468
მთლიანი კაპიტალი	8,492,862	7,008,957
სრული ფინანსირება	8,492,862	7,008,957
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.60	0.16

21. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
<i>ფულადი ოპერაციები</i>		
დაფარვა	(18,488)	(18,488)
პროცენტის გადახდა	(3,033)	(3,033)
<i>არაფულადი ოპერაციები</i>		
საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	192,383	192,383
პროცენტის დარიცხვა	8,473	8,473
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(23,316)	(23,316)
31 დეკემბერი 2022	156,019	156,019
<i>ფულადი ოპერაციები</i>		
შემოსვლა	-	-
დაფარვა	(73,360)	(73,360)
პროცენტის გადახდა	(8,340)	(8,340)
<i>არაფულადი ოპერაციები</i>		
პროცენტის დარიცხვა	8,340	8,340
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(2,294)	(2,294)
31 დეკემბერი 2023	80,365	80,365

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული ბრუნვები და 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ:

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,075,508	-	3,075,508
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,152	2,152
	3,075,508	2,152	3,077,659

სრული შემოსავლების ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	16,476,160	-	16,476,160
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	28,969	28,969
	16,476,160	28,969	16,505,129

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,416,582	-	2,416,582
	2,416,582	-	2,416,582

სრული შემოსავლების ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	17,085,543	-	17,085,543
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	5,290	5,290
	17,085,543	5,290	17,090,833

24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. შესაბამისად კომპანია სარგებლობს შემდეგი საგადასახადო შეღავათებით: კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5%-ით იბეგრება, დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, მოგების გადასახადის განაკვეთი 5%-ს შეადგენს, გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან.

სხვა მოვლენები, რომელთა განმარტებით შენიშვნაში გაჟღერება სტანდარტით მოითხოვება, შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ის მიერ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე არ ფიქსირდება.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 08 აგვისტოს.



შპს სოფთვეა ქანთრი ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება - 2023

სარჩევი

	Page
კომპანიის მიმოხილვა	41
სტრატეგიული განვითარების გეგმა	41
ფინანსური მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი	42
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	45
ადმინისტრაციული რესურსების მართვა და ორგანიზაციის სტრუქტურა	45
სამუშაო გარემოს უსაფრთხოება	46
გარემოს დაცვა	46
ანტი-კორუფციული პოლიტიკა	46

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის მიმოხილვა

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2022 წლის 11 მარტს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 71, საოფისე ფართი N5, სართული 2, ბლოკი II.

საიდენტიფიკაციო კოდი: 405512583.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის დირექტორია მაქსიმ დრაშჩინსკი, 75 7784799 (რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის 100% წილის მესაკუთრე არის მაქსიმ დრაშჩინსკი, 75 7784799 (რუსეთის ფედერაცია).

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“-ს საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, გატესტვა, მომსახურება და გაუმჯობესება (ვებ-გვერდების, აპლიკაციების და სხვადასხვა ციფრული პროდუქტების შექმნა და დამუშავება).

2023 წლის განმავლობაში კომპანიის რეალიზაცია 100%-ით შედგება მომსახურების ექსპორტისგან. ექსპორტი ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და ევროკავშირის ქვეყნებში.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წლის განმავლობაში იყო 146, საიდანაც 44 იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი

სტრატეგია, განვითარების გეგმა

კომპანია მუდმივად ცდილობს მსოფლიო ბაზარზე მოიძიოს ახალი დამკვეთები და არსებულ დამკვეთებთან განავითაროს თავისი თანამშრომლობა. ძირითადი აქტივი რასაც კომპანია ეყრდნობა არის მაღალკვალიფიციური და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით იაფი სამუშაო ძალა, რაც დამკვეთებს აძლევს საშუალებას რომ დაბალი ფასით სასურველი ხარისხის პროდუქტი მიიღონ.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის სავალდებულო კრიტერიუმი არის, რომ კომპანიის საოპერაციო ხარჯები, მათ შორის პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული სახელფასო ხარჯი, უნდა იყოს გაწეული საქართველოს ტერიტორიაზე. ამისთვის საჭირო გახდა დაქირავებით მომუშავე პირთა ოპტიმიზაცია. აუცილებელია მოხდეს ისეთი კადრების მოზიდვა, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში ან/და სურვილი აქვთ საქართველოში რელოკაციის. მთავარი მოტივაცია რასაც ეს პოლიტიკა ეყრდნობა არის რეგიონისთვის

საშუალოზე მაღალი ანაზრაურება, თავისუფალი სამუშაო გრაფიკი, კეთილმოწყობილი სამუშაო სივრცე, ანაზრაურებადი ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა ბენეფიტები.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად მცირდება მოთხოვნა ფიზიკურ პროფეიულს ძალაზე საბოლოო მომხმარებლებში, თუმცა კომპანიის პროფილი არის ცალკეული ბიზნეს პროექტების უნიკალური მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტების დამუშავება, რასაც ხელოვნური ინტელექტის არსებული და უახლოეს მომავალში დაგეგმილი მოდელები ვერ აკმაყოფილებენ, ამიტომ კომპანიის გრძელვადიან კომერციულ საქმიანობას საფრთხეს არ უქმნის.

გამომდინარე აქედან, კომპანიის უახლოეს განსაზღვრადი პერიოდის ბიზნეს სტრატეგიაა შეინარჩუნოს არსებული კლიენტები, რომელთა დაკავშირებითაც გაფორმებული არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მომსახურების ხელშეკრულებები. აგრეთვე კომპანიის მიზანია დაამყაროს ბიზნეს ურთიერთობები ახალ დაკვეთებთან. ახალი დამკვეთების მოძიებაში კი კომპანიას დაეხმარება ამავე თავში ზემოთ აღწერილი ფაქტორები.

მენეჯმენტის მოსაზრებით 2024 წლიდან კომპანიის შემოსავლები იქნება 6 მილიონი ლარის ფარგლებში, რაც სრულიად საკმარისი იქნება მიმდინარე პერიოდის ხარჯების დასაფინანსებლად და მოგების აკუმულირებისთვის.

მიღწევები

2023 წელს საქართველოს ბანკში გაიხსნა საბანკო ანგარიშები, გაფორმდა სახელფასო პროექტი და სადეპოზიტო ხელშეკრულებები, რამაც კომპანიას საშუალებას მისცა რომ თავისუფალ ფინანსურ სახსრებზე მიეღოს დამატებითი სარგებელი. წლის ბოლოს კი გაფორმდა ვადიანი ანაბარი 1 წლის ვადით რაც საერთო ჯამში გამოიმუშავეს 35 000 აშშ დოლარს. ასევე მოხდა ბანკებთან საკომისიო განაკვეთების ოპტიმიზაცია და საკონვერტაციო ხარჯების საგრძნობლად შემცირება.

2024 წლის აპრილის თვეში კომპანიამ გააკეთა განაცხადი საერთაშორისო კომპანიის სტატუსზე, რომელიც იქნა დაკმაყოფილებული და 2024 წლის ივლისის თვიდან კომპანია ისარგებლებს შერავათიანი საგადასახადო განაკვეთებით: მოგება- 0%; საშემოსავლო - 5%; ქონება - 0%.

ამის შედეგად კომპანიას შეუმცირდება სახელფასო ხარჯი 15%-ით, სახელფასო ხარჯი კი არის კომპანიის საოპერაციო ხარჯების 80%-ზე მეტი.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

ლარი	2023
ამონაგები	19 531 122
წმინდა მოგება	1 483 905

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გაყიდვები ხორციელდება 3 ვალუტაში:

USD – 5 915 937,56

Euro – 1 375 033

GBP – 26 728

თანამშრომელთა სარგებელი

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს: 2023

თანამშრომელთა სარგებელი 17 211 340 ლარი

პროფესიული მომსახურება 346 187 ლარი

სულ 17 557 527 ლარი

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს: 2023

კონვერტაციიდან მიღებული ზარალი 193,250

ბანკის მომსახურების ხარჯი 10,742

მივლინების ხარჯი 29,148

დაზღვევის ხარჯი 74,356

საკონსულტაციო ხარჯები 23,339

საიჯარო ქირა 11,941

ოფისის ხარჯები 12,616

ცვთა და ამორტიზაცია 96,355

კომუნიკაციის ხარჯი 6,731

სხვა საგადასახადო ხარჯი 15,715

სხვა 25,564

სულ 499,757

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშობება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

კომპანია საკმაოდ ეფექტურად ახერხებს პარტნიორობთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზრაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

კომპანია 2023 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინტრუმენტს.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წლის ბოლოს არის 3 427 498 ლარი.

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ევროში - 207 667 ლარი

აშშ დოლარი - 3 201 854 ლარი

GBP – 17 977 ლარი

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

კომპანიის ყოველთვიური ხარჯების 88%-ს შეაგდენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული 5 თვის ხელფასის ოდენობის თანხა.

31.12.2023 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში:

ევროში - 705 365 ლარი

დოლარში - 5 300 096 ლარი

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100% აზღვევს.

სავალუტო რისკი - რადგანაც კომპანია შემოსავალს იღებს უზროურ ვალუტაში, მეტ წილად აშშ დოლარში, ამიტომ ძირითადი ხარჯები(ხელფასები და იჯარა) ხელშეკრულებებით აქვს ასევე შეთანხმებული აშშ დოლარში. ეს მიდგომა მეტწილად ამცირებს კომპანიის სავალუტო რისკს.

საბანკო ანგარიშზე სახსრები ინახება ასევე უცხოურ ვალუტაში.

ამის გათვალისწინებით ლარის კურსის ცვალებადობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში პირდაპირ პროპორციულად ზემოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2023 წელს ლარმა მეტნაკლებად შეინარჩუნა მდგრადი კურსი ამიტომ კურსთაშორისმა ზარალმა შეადგინა მხოლოდ 8 483 ლარი. ამასთანავე კონვერტაციის ოპერაციებიდან მიღებული ზარალი შეადგენს 193 250 ლარს, მთლიანი ამონაგების 1%.

საბაზრო რისკები - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან;

კომპანიის 2023 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{9,517,730}{1,198,378} = 7,9$$

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანივალდებულებები}} = \frac{9,517,730}{1,198,378} = 7,9$
მოგება საკუთარ კაპიტალ =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{1,483,905}{8,492,862} = 0,174$

კომპანიის 2022 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფ. =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარევალდებულებები}} = \frac{8,865,548}{2,031,951} = 4,4$
სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანივალდებულებები}} = \frac{8,865,548}{2,031,951} = 4,4$
მოგება საკუთარ კაპიტალ =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{6,991,709}{7,008,957} = 0,997$

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

საკადრო პოლიტიკა

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 90 თანამშრომელი, საიდანაც 33% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. 2023 წელში

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


განახლდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, და სთავაზობს თანამშრომლებს დაზღვევის საშუალო პაკეტს როგორც დამატებით ბენეფიტს.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში. ოფისი განთავსებულია კეთილ მოწყობილ ბიზნეს ცენტრში „ატრიუმი“. კომპანიას სხვა ფილიალები არ გააჩნია.

ბიზნეს ცენტრში გათვალისწინებული და დაცული არის უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს სოფთვეა ქანთრი ჯორჯიას მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 08 აგვისტოს და ადასტურებენ:

სახელი: მაქსიმ დრაშჩინსკი
პოზიცია: დირექტორი

სახელი: გიორგი ჩაგუნავა
პოზიცია: მთავარი ბუღალტერი

შპს „სოფთვეა ქანთრი ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


განახლდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, და სთავაზობს თანამშრომლებს დაზღვევის საშუალო პაკეტს როგორც დამატებით ბენეფიტს.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში. ოფისი განთავსებულია კეთილ მოწყობილ ბიზნეს ცენტრში „ატრიუმი“. კომპანიას სხვა ფილიალები არ გააჩნია.

ბიზნეს ცენტრში გათვალისწინებული და დაცული არის უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს სოფთვეა ქანთრი ჯორჯიას მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 08 აგვისტოს და ადასტურებენ:

სახელი: მაქსიმ დრაშინსკი
პოზიცია: დირექტორი

სახელი: გიორგი ჩაგუნავა
პოზიცია: მთავარი ბუღალტერი